

მრავალხმიანობის საკითხი ქართულ გლოვის სიმღერებში

ქართული მუსიკალური მემკვიდრეობის საფეხურებრივი განვითარების შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა ცალკეული ჟანრების განხილვა, რადგან თითოეულ მათგანში მუსიკალური აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპი ვლინდება.

გლოვის რიტუალი ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე კონსერვატიული არსებულ ტრადიციულ რიტუალთა შორის. ამდენად დატირებათა და საგლოველ სიმღერათა განხილვა საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ ქართველთა მუსიკალური აზროვნების განვითარების უადრესი საფეხურები უმარტივესი ერთხმიანი ნიმუშებით — ვიდრე განვითარებულ სამხმიანობამდე.

მიცვალებულის კულტში, ნაირგვარი სახის წეს-ჩვეულებებს შორის, დატირებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. განსაკუთრებულია დატირებებისა და სამგლოვიარო სიმღერების როლი მრავალფეროვან ქართულ მუსიკალურ ფოლკლორშიც. რიტუალში ქალებსაც და მამაკაცებსაც განსაზღვრული ფუნქციები გააჩნიათ.

ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში რელიგიური აზროვნების განვითარების ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ეტაპად ხევესურთა ყოფაში დაფიქსირებული ნატირლებია მიჩნეული („დათვლით“, „ძახილით“, „ხმით“). განსაკუთრებით საინტერესოა „ხმით ნატირლები“. ხმით მოტირალში მიცვალებულის სულის დროებითი დასადგურება ხდებოდა, მას მიცვალებულის სურვილები უნდა განეცხადებინა. მოტირალი პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ ქალი იყო, რომელსაც შესწევდა უნარი მგრძნობიარე სიტყვებით დაეტირებინა მიცვალებული. ხმით მოტირლის „ნატირალთ“ ხალხი ზეპირად სწავლობდა ლექსივით და მერე მამაკაცები თიბვის დროს ცელზე მღეროდნენ. ამ სიმღერას „გვრინი“ ეწოდებოდა. „გვრინში“ ხმით ნატირლის გარდა არაფერს იმღერებდნენ. ხმით მოტირლები ტირილს სხვადასხვანაირად იწყებდნენ და სიტყვებსაც სხვადასხვანაირად ამბობდნენ. ხმით ტირილის დროს ყველა გაჩუმებული იყო, არავინ ტიროდა ხმამაღლა. ხოლო როდესაც ხმით მოტირალი ყოველი სიტყვის შემდეგ დაიქვითინებდა, მაშინ სხვა მოტირალი ქალებიც დაიქვითინებდნენ. ხმით მოტირალი მიცვალებულის წარსულ ცხოვრებასა და ნამოქმედარს აღწერდა თავის სიტყვაში. ძველ მიცვალებულებსაც გაიხსენებდა (ჩიტაია, 1940:VII-XV). იხ. დანართში მაგალითები 1, 2, 3 (ჩხიკვაძე, 1960:24, 26, 20) და მაგალითი 4 (ასლანიშვილი, 1956:71).

დროთა განმავლობაში „ხმით ნატირალის“ ინსტიტუტმა ცვლილებები განიცადა. სულის ჩასახლების იდეა, მისი სანყისი დანიშნულება, ნელ-ნელა ჩამოცილდა. ფშავსა და თუშეთში (ასევე ქართლში), „ხმით მოტირალის“ ქვეშ იგულისხმება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული, იმპროვიზაციის უნარის მქონე, მჭევრმეტყველი ქალი-მოტირალის მიერ ნატირალის ტექსტის შესრულება. მას შესხმითი ხასიათი აქვს და მისი დანიშნულებაა გაალამაზოს,

გაამშვენიეროს მიცვალებული. საერთოდ, დატირების რიტუალი არ იყო მოკლებული თეატრალურობას, სანახაობრიობას. მიზანი კი იყო მიცვალებულის ლაზათიანი, შნოიანი დატირება, პიროვნების შემკობა ლამაზი სიტყვებით, მისი გაპატიოსნება.

დატირებათა მუსიკალური ნიმუშებიც, თავის მხრივ, მეტყველებენ რიტუალის უძველესი დროიდან მომდინარეობაზე. მუსიკალური მასალა გვიჩვენებს, რომ „ხმით ნატირლებმა“ არსებითი როლი შეასრულეს თავდაპირველი მელოდიური ფორმულის ან ფუძე-ჰანგის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში (მაისურაძე, 1989:10).

თუმურ, ფშაურ, თუ ხევსურულ დატირებათა შედარება მათი ერთიანი სანწყისიდან მომდინარეობაზე მეტყველებენ.

თუმეთში წლისთავზე გამართული ხარჯის დროს სრულდებოდა განსაკუთრებული წესი „დალა□“-ს სახელწოდებით (გიორგაძე, 1987:43-49). იხ. მაგალითი 5 (ჩხიკვაძე, 1960:36). „დალა□“-ს შესრულებაში ხუთი ცხენოსანი მამაკაცი იღებდა მონაწილეობას. აქედან ერთი მოდავე (მოდალავე), ე.ი. ტექსტის მთქმელი იყო, დანარჩენ ოთხს კი „ამყოლები“ ერქვათ.

„დალა□“-ს ტექსტის გაცნობა გვიჩვენებს, რომ იგი ნატირალს წარმოადგენს, მაგრამ არ არის „ხმით ნატირალის“ იმ ფორმისა, რომელსაც ხევსურეთში ვხვდებით. „ხმით ნატირალის“ პოეტური იმპროვიზაციის საპირისპიროდ „დალა□“-ს ტექსტი დადგენილი, დამკვიდრებულია და წარმოგვიდგება სამგლოვიარო ლექსის სახით.

ამგვარად, „დალა□“-ს სახით გვაქვს გუნდური დატირება, რომელშიც მონაწილეობს მოდალავე და „ამყოლები“.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, ქართლსა და კახეთში, გვხვდება ქალის მიერ მიცვალებულის დატირება, რასაც „მოთქმით ტირილი“ ეწოდება. ქართლისა და კახეთის ზოგიერთ რეგიონში მოთქმით მოტირებს თან ახლავს მებანეთა გუნდი. ასეთ დატირებას „ბანით ტირილი“ ეწოდება. ტერმინი „ზარით ტირილი“ აქ ნაკლებად გვხვდება და უკავშირდება გუნდურ, მრავალხმიან ტირილს (ოჩიაური, 1947-1948:5; ნაკაშიძე, 1983:7-8). კახეთში „მოთქმით“ ტირილის გვერდით ხშირად გვხვდება ტერმინები „მოზარეები“, „ზარით“ ტირილი. მასალებიდან ირკვევა, რომ ზოგ შემთხვევაში მოზარე იყო ის, ვინც კარგი ტირილი იცოდა. ან: „მოზარე ვიცოდით: სამი ქალი იყო, ვინც კარგი ტირილი იცოდა. ერთი რომ იტყოდა, ორნი მოთქვამდნენ. მათ მიცვალებულის გასვენების დროს მოიყვანდნენ მხოლოდ. მიცვალებულის წინ დადგებოდნენ და ისე იტყოდნენ „ზარს“ (გიორგაძე, 1984:12). იხ. მაგალითები 6, 7 (ჩხიკვაძე, 1960:354, 182).

მიცვალებულის გასამშვენებელი, გასალამაზებელი სიმღერა დაკრძალვის დღეს სრულდებოდა მთიან რაჭაში „ზრუნი“-ს სახელწოდებით. კახეთისა და მთის რაჭის ეთნოგრაფიული მასალები შეესატყვისება ერთმანეთს.

მთის რაჭის გლოვის რიტუალში სრულდება მოთქმით ტირილი. მას ასრულებს ტირილის კარგი მცოდნე ქალი. იგი შესხმითი ხასიათისაა. მოთქმით ტირილის ნიმუშები ქართული ხალხური მუსიკის განვითარების ადრეულ ეტაპებს განეკუთვნებიან. სრულდება სამხმიანი საგლოველი სიმღერა „ზრუნი“ ანუ

„ზრუნის შაირი“. რაჭულ „ზრუნის შაირს“ ბევრი საერთო აქვს აღმოსავლურ-ქართული დატირების რიტუალთან. „ზრუნის“ მთქმელები გამორჩეული შემსრულებლები იყვნენ. მათ განსაკუთრებით ეპატიუებოდნენ. „ზრუნის“ შესრულება პატივსაცემ საქმედ ითვლებოდა. მასში სამი ხმა მონაწილეობდა. წამყვანი იყო მთქმელი, ხოლო მეორე ხმა და ბანი მიჰყვებოდნენ მას. მთქმელი სიტყვებს სიმღერის პროცესში თხზავდა. ტექსტი შესხმითი ხასიათისა იყო. „ზრუნი“ დასაფლავების დღეს სრულდებოდა.

მთის რაჭაში „ზრუნში“ წარმოთქმული ტექსტები სრულდებოდა მკის დროს ქალების მიერ (ქორქალი) და თიბვის დროს მამაკაცების მიერ (ლულუნი). როგორც ირკვევა, ეს სიმღერები მიცვალებულის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად შესრულებულ მიცვალებულის დატირებას წარმოადგენდნენ. ისინი უშუალოდ მკასა და თიბვას უკავშირდებიან, რადგან მინდორი (სამკალი და სათიბი) ბუნების კვდომა-აღორძინების გამომხატველია (სურგულაძე, 1978: 78-79). როგორც ზემოთ აღინიშნა, ხევსურეთში, სათიბში მამაკაცების მიერ აგრეთვე სრულდებოდა „ხმით ნატირალთა“ ტექსტები „გვრინის“ სახელწოდებით.

რაჭველთა ინდივიდუალურ თავისებურებას წარმოადგენს „მთიბლური შაირი“, რომელიც ნადში სრულდებოდა. როგორც ცნობილია, ნადი შრომაში დახმარების საზოგადოებრივ ფორმას წარმოადგენდა. მაგრამ მთის რაჭაში უშუალოდ შრომის პროცესში შესრულებულ სიმღერას ვერ ვხვდებით. ეს სიმღერები სრულდებოდა მხოლოდ შესვენების დროს, ან გლეხების შინ დაბრუნებისას. მათ მინორული ხასიათი გააჩნდათ და მღეროდნენ მამინ, როცა სოფელში მიცვალებული იყო. სხვა შემთხვევაში მღეროდნენ საფერხულო სიმღერებს ფერხულის გარეშე. ამ სიმღერაში „ზრუნის შაირის“ ტექსტები გამოიყენებოდა და სრულდებოდა ორ გუნდად, ანტიფონურად. ხევსურეთში „გვრინი“ სრულდებოდა ცელის ტარზე დაყრდნობილი მთიბელის მიერ შესვენების დროს. მას ინდივიდი ასრულებდა. რაჭული „მთიბლური შაირი“ იმღერებოდა დასვენებისას, ან სახლში დაბრუნების დროს. ეს იყო გუნდური სიმღერა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს, რომ „ქორქალი“, „ლულუნი“ და „გვრინი“ რელიგიურ-მითოლოგიურ წარმოდგენათა ევოლუციის ადრეულ საფეხურებს უკავშირდება, როდესაც ცალკეული მიცვალებული ინდივიდის მიერ არის დატირებული (ქალის ან მამაკაცის მიერ). „მთიბლურ შაირში“ ხდება ჯგუფური დატირება ნაყოფიერების ღვთაებისა, მთელი საზოგადოების მიერ.

„მოთქმით ტირილი“, „ქორქალი“ და „ლულუნი“ წარმოადგენენ გარდამავალ ფორმებს ტირილსა და სიმღერას შორის. ისინი უძველესი დროიდან მომდინარეობენ და ქართველური მუსიკალური ფუძე-ენის დონეზე განიხილებიან.

ჩვენი აზრით, „ზრუნის“ მუსიკალური ნიმუშების განხილვა ცხადყოფს, რომ რაჭული სიმღერა „ზრუნი“, ზედა ხმების ლინეალურობისაკენ მისწრაფების მიუხედავად, კავშირს უფრო მეტად სვანურ კომპლექსურ მრავალხმიანობასთან ავლენს. ნიშანდობლივია, რომ გარკვეულ ისტორიულ პერიოდში რა-

ჭა განიცდის მუსიკალური კულტურის როგორც აღმოსავლურ-ქართული წრის, ასევე დასავლურ-ქართულის, კერძოდ, სვანურის დიდ გავლენას (I ანთოლოგია, 1987). იხ. მაგალითები 8, 9, 10 (ყორდანი, 1962).

მოთქმით მოტირალის ინსტიტუტი მთელს საქართველოში არსებობს. ქალის მიერ შესხმითი ხასიათის ნატირალის შესრულება ყველა კუთხეში გვხვდება. აქვე დავძენთ, რომ ქართული დატირების რიტუალი პარალელს პოულობს წინა აზიურ სამყაროსთან. კერძოდ, დაკრძალვის ხეთურ რიტუალში მუსიკოსებს და მოტირალ ქალებს მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდათ დათმობილი (ბერიაშვილი, 1982:41-44, 48).

სვანეთში ჩანერილი „სვანი ქალის ტირილი“ მუსიკალურ-ინტონაციურად მჭიდრო კავშირს ავლენს ზოგადქართულ, აღმოსავლეთ საქართველოს როგორც მთის, ასევე ბარის ნიმუშებთან (ახობაძე, 1957:126).

მეგრულ ყოფაში შემორჩენილია „თვალუა“ — მოთქმით ტირილი. მოთქმით მოტირლებს (მათვალარი) სპეციალურად იხმობდნენ და გასამრჯელოსაც უხდიდნენ, თუმცა „მათვალარი“ ოჯახის წევრიც შეიძლება ყოფილიყო. მეგრული ნატირლები ინტონაციურად აღმოსავლურ-ქართულ, ხევსურულ ნატირლებს ენათესავებიან, რაც გარკვეულ ისტორიულ პერიოდში მათ გენეტიკურ ნათესაობაზე მიგვანიშნებს (ახობაძე, 1987:90-91).

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სვანეთში, ზემო და ქვემო რაჭაში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში დასაფლავების რიტუალში მონაწილეობას მამაკაცთა სამელოვიარო სიმღერა „ზარი“ იღებს. ძირითადად იგი მოთქმით მოტირალს უქმნის ფონს. „ზარი“ უსიტყვო სიმღერაა, თუმცა ვარიანტებში მის სიტყვიერ ტექსტსაც მოიხსენიებენ. მამაკაცთა მიერ მიცვალებულის დატირების ფორმა ჩვენ სვანური ყოფიდან მომდინარედ გვესახება. ამის შესახებ, ერთი მხრივ, სვანური ეთნოგრაფიული მასალა მიგვანიშნებს, მეორე მხრივ, „ზარის“ (მამაკაცების მიერ შესრულებული სიმღერის) შესრულების ყველაზე ძველი ტრადიციები სვანურმა ყოფამ შემოგვინახა. ამ ინსტიტუტის სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ დღესდღეობით „ზარის“ მცოდნეთა ან მისი შესრულების მომსწრეთა პოვნა საქართველოს სხვა რეგიონებში ძნელდება. ამ დროს სვანეთში იგი, მართალია განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგრამ მაინც სრულდება. იხ. მაგალითი 11 (ახობაძე, 1957:117).

მუსიკალური ანალიზი საფუძველს გვაძლევს სხვადასხვა კუთხეში ჩანერილი „ზარის“ მუსიკალური ტექსტები დასავლეთ-ქართული მუსიკალური წრის მალაღვანვითარებულ ნიმუშებად მივიჩნიოთ.

ერთხმიანი დატირების საინტერესო ნიმუშებია შემორჩენილი აჭარულ, ლაზურ და მესხურ ყოფაში (მსხალაძე, 1969:104-110; თანდილავა, 1972).

დატირების უძველესი სახეები, შემონახული როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს ყოფაში, მათი ქართველური მუსიკალური ფუძე-ენიდან მომდინარეობაზე მეტყველებენ.

მრავალხმიანობის განვითარების საფეხურების დადგენისათვის საინტერესოა თუშური „დალა“-ს, კახური „ზარით ტირილის“ და ქართლური „მეფე ერეკლეს დატირების“ ნიმუშთა განხილვა. ყველა ამ ნიმუშს ერთი მელო-

დიური საფუძველი გააჩნია. მათში სამგლოვიარო სიმღერის განვითარების სხვადასხვა ეტაპია წარმოჩენილი. ეს სიმღერები ქართული მუსიკალური კულტურის აღმოსავლურ წრეს მიეკუთვნება.

სვანური, მეგრული, რაჭული, გურული „ზარი“, მთა-რაჭული „ზრუნი“ მოცემული კუთხის ლოკალურ თავისებურებათა ტიპიური მატარებლები არიან. ამავე დროს მრავალხმიანობის ფორმით, აკორდთა წყობით (ხმათა კომპლექსური მოძრაობით) ქართული მუსიკალური კულტურის დასავლური წრის ნიმუშებს წარმოადგენენ.

ქართულმა ხალხურმა მუსიკამ უძველესი დროიდან დღემდე განვითარების რთული და ნაირფეროვანი გზა გაიარა. სამგლოვიარო სიმღერების განვითარების ეტაპები მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქართული ხალხური მუსიკა, მისი მრავალხმიანობა, სტადიალურია.

და ბოლოს, ჩემი მიზანი იყო მეჩვენებინა ქართველი ხალხის მუსიკალური აზროვნების განვითარების საფეხურები ისეთ უძველეს ჟანრში, როგორც არის მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ნატირლები.

ქართული ხალხური სიმღერა ერის ისტორიის თავისებური ანარეკლია, სამგლოვიარო ჟანრი კი – ამის ნათელი დადასტურება.

დამონმებული ლიტერატურა

ასლანიშვილი, შალვა. (1956). *ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ*, I. თბილისი: ხელოვნება.

ახობაძე, ვლადიმერ. (1957). *ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული*. თბილისი: შრომა და ტექნიკა. (შესავალი ქართულ და რუსულ ენებზე).

ბერიაშვილი, მამუკა. (1982). *დაკრძალვის რიტუალი ხეთებთან*. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXVI-B:39-50.

გიორგაძე, დალი. (1987). *დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში*. თბილისი: მეცნიერება. (რუსული რეზიუმეით).

გიორგაძე, დალი. (1984). *საარქივო ეთნოგრაფიული მასალა. კახეთი*. ინახება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოლოგიის სექტორის არქივში. M/26.

თანდილავა, ზურაბ. (1972). *ლაზური ხალხური პოეზია*. ბათუმი: საბჭოთა აჭარა. (რუსული რეზიუმეით).

მაისურაძე, ნინო. (1989). *ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები*. თბილისი: მეცნიერება. (რუსული რეზიუმეით).

მსხალაძე, ალექსანდრე. (1969). *აჭარის საოჯახო სანესჩვეულებო პოეზია*. ბათუმი: საბჭოთა აჭარა. (რუსული რეზიუმეით).

ნაკაშიძე, ქეთევან. (1983). *რაჭა. საარქივო ეთნოგრაფიული მასალა*. ინახება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ქართული მუსიკალური ეთნოლოგიის შემსწავლელი საინსტიტუტო საპრობლემო ჯგუფის არქივში. საქალაქი.

ოჩიაური, თინათინ. (1947-1948). *ქართლი. საარქივო ეთნოგრაფიული მასალა*. ინახება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოლოგიის სექტორის არქივში. M/18.

ჟორდანია, მინდია. (1962). *რაჭის ექსპედიცია*. ინახება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის ფონოარქივში. ექსპედიციის ფირზე აღბეჭდილი ყველა ნიმუში ჩვენს მიერ არის გაშიფრული.

სურგულაძე, ირაკლი. (1978). ქართველთა აგრარული რწმენა-წარმოდგენების ისტორიიდან (მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებები). *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, XIX:75-93.

ჩიტაია, გიორგი. (1940). წინასიტყვაობა. *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, ნაკვეთი III:VII-XV.

ჩხიკვაძე, გრიგოლ. (რედაქტორ-შემდგენელი). (1960). *ქართული ხალხური სიმღერა*, I. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

Í àèàø èäçǎ, Êàòááí. (1987). *Í óçú èàéúí àÿ éóéúò óðà àí ðòáá Çàí àáí í é Áðóçèè (í í ÿò í í ãðãð è-áñéèí í àò áðéáéàí Èà-é)*. Êáí àèààòñéÿ àèññáðòàòéÿ. Èí ñòèòòò àðòáí èí ãè è ÿòí í ãðãð è è Àèàááí è è Í àóé Àðí áí è è.

×èòáí àáà, Êàòáááí. (1987). *Í óçú èàéúí àÿ éóéúò óðà ðááí è-í í àí í àñáéáí èÿ Çàí àáí í é Áðóçèè (í í ÿò í í ãðãð è-áñéèí í àò áðéáéàí Nàí áãðáéí)*. Êáí àèààòñéÿ àèññáðòàòéÿ. Èí ñòèòòò àðòáí èí ãè è ÿòí í ãðãð è è Àèàááí è è Í àóé Àðí áí è è.

Svanetian, Megrelian, Rachian and Gurian “Zari” and highland Rachian “Zruni” are typical examples of the peculiarities of the local regions of Georgia. At the same time they are representative of the circle of western Georgia’s musical culture with the polyphonic form, chordal structure and parallel movement of chordal units.

Georgian folk music has travelled a complicated and diversified path from older times till today. The stages of lament development testify that development of Georgian folk music and its polyphony is phasic.

Translated by MARINA KUBANEISHVILI

References

- Akhobadze, Vladimer. (1957). *Collection of Georgian (Svan) Folk Songs*. Tbilisi: Shroma da Teknika. (In Georgian. Foreward in Georgian and Russian)
- Aslanishvili, Shalva. (1956). *Esseys on Georgian Folk Songs*, Vol. 2. Tbilisi: Khelovneba. (In Georgian)
- Beriashvili, Mamuka. (1982). Hattis Burial Rites. *Bulletin of the State Museum of Georgia* XXXVI-B: 39-50. (In Georgian)
- Chitaia, Giorgi. (1940). Foreward. *Materials for the Ethnography of Georgia*, part III: VII-XV. (In Georgian)
- Chitanava, Ketevan. (1987). *Musical Culture of the Dwellers of Plain Regions of the West Georgia (According to the Ethnographic Materials from Samegrelo)*. Abstract of PhD. Erevan: Institute of Archaeology and Ethnography of the Academy of Science of Armenia. (In Russian)
- Chkhikvadze, Grigol, (Compiler and Ed.) (1960). *Georgian Folk Song*, 1 (East Georgia). Tbilisi: Sabchota Sakartvelo. (In Georgian)
- Giorgadze, Dali. (1984). *Archival Ethnographic Materials - Kakheti*. Manuscript, kept at the Sector of Ethnology of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. Manuscript M/26. (In Georgian)
- Giorgadze, Dali. (1987). *Burial and Mourning Rites in Georgia*. Tbilisi: Metsniereba. (In Georgian. Summary in Russian)
- Jordania, Mindia. (1962). *Fieldwork in Racha. Audiorecordings*. From the Audio Archive of the Department of Georgian Folk Music at the Tbilisi Vano Sarajishvili State Conservatoire. All the musical examples were transcribed by K. Nakashidze.
- Maisuradze, Nino. (1989). *Georgian Folk Music and Its' Historical-Ethnographic Aspects*. Tbilisi: Metsniereba. (In Georgian. Summary in Russian)
- Mskhaladze, Alexander. (1969). *Acharian Family Ritual Poetry*. Batumi: Soviet Achara. (In Georgian. Summary in Russian)
- Nakashidze, Ketevan. (1983) *Racha. Archival Ethnographic Materials*. Manuscript, kept at the archive of the Problemic Group of Musical Ethnology of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. Manuscript. (In Georgian)
- Nakashidze, Ketevan. (1987). *Musical Culture of the Western Georgian Mountaineers (According to the Ethnographic Materials from Racha)*. Abstract of the PhD Thesis. Erevan: Institute of Archaeology and Ethnography of the Academy of Science of Armenia. (In Russian)
- Ochiauri, Tinatin. (1847-48). *Kartli. Archival Ethnographic Materials*. Manuscript of the Sector of Ethnology of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. Manuscript M/18. (In Georgian)
- Surguladze, Irakli. (1978). From the History of Agrarian Beliefs of Georgians (Dying and Resurrecting Deities). *Materials for the Ethnography of Georgia* XIX: 75-93. (In Georgian)
- Tandilava, Zurab. (1972). *Laz Folk Poetry*. Batumi: Soviet Achara. (In Georgian. Summary in Russian)

მაგალითი 1. ძახილით ტირილი
EXAMPLE 1. Dzakhlit tirili

Moderato

რათ ა - რას მი - ა - მბობ, სა - მძი - მარ ჩე - მო
Rat a - ras mi - a - mbob, sa - mdzi - mar che - mo

მაგალითი 2. დათვლა-ტირილი
EXAMPLE 2. Datvla-tirili

Moderato

სად წა - ხველ დე-დო, სად მის - ვალ ეხ - ლა, სა-ით-კენ მის - ვალ დე-დო;
sad ts'a - khvel de - do, sad mikh - val ekh - la, sa - it - ken mikh - val de - do;

მაგალითი 3. ხმით ნატირალი
EXAMPLE 3. Khmit natirali

Andantino

ჰეი თქვე-ნი ჰი - რი - მე მა - ტი-რალ - ნო იჰე ჰე ჰი - ა ჰეა
Hei tqve - ni ch'i - ri - me ma - ti - ral - no ihe hi hi - a

მაგალითი 4. ხმით ტირილი
EXAMPLE 4. Khmit tirili

Moderato

ა, მე, ხო ჟა - ლი ოხ რი - სა ი - ო, ჰე
a, me, kho qa - li okh ri - sa i - o, he

მაგალითი 5. დალა
EXAMPLE 5. Dala

Allegretto
Solo

და - ლა სთქვიტ და - ლა მხე - დ(ა) - - - რე-ბო
Da - la stqvit da - la mkhe - d(a) - - - re-bo

Andante
Coro

და - ლა ჰე და - ა - ა - ლა - ა ჰე
da - la he da - a - a - la - a he

მაგალითი 6. ზარით ტირილი
EXAMPLE 6. Zarit tirili

Moderato
mf Solo

ვაი მე შვი - ლო შენს დამ - კარ - გავ - სა.
Vai me shvi - lo shens dam - kar - gav - sa.

Coro

ა

მაგალითი 7. მეფე ერეკლეს დატირება
EXAMPLE 7. Mepe Erekle's datireba

Moderato

ვერ შე-იტ-ყე-თა ქარ-თველ-ნო, რკი-ნის შე-გა-წყაოთ
Ver she-it-k'e-ta qar-tvel-no, rki-nis she-ga-ts'k'dat

ჰა ჰა ჰა

ჰა ჰა

მაგალითი 8. ქორქალი
EXAMPLE 8. Qorqali

mf

მაგალითი 9. ლულუნი
EXAMPLE 9. G'ug'uni

p

